



საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა
ასოციაციის მედიცინის დეპარტამენტი




**გედიკოსთა ტრადიციული 43-ე
საერთაშორისო სკოლა-კონფერენცია**

ბაგურიანი - 2018

**თანაგედროვე კლინიკური გედიცინა-
გიღწევები და უახლესი
ტექნოლოგიები**

17 - 25 თებერვალი
www.medcongress.ge





პატივცემულო კოლეგებო,

საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის მედიცინის დეპარტამენტი, სხვა ასოციაციებსა და დანესებულებებთან ერთად, **2018 წლის 17-25 თებერვალს** ატარებს მედიკოსთა ტრადიციულ **43-ე** საერთაშორისო სკოლა-კონფერენციას

”ბაკურიანი-2018”

სკოლა-კონფერენციის

პრეზიდენტი, მედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი -

ალექსანდრე პაპიტაშვილი

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ბიოლ. მეცნ. დოქტორი -

ლავროს შევარდნაძე

საორგანიზაციო კომიტეტის გენერალური დირექტორი, მედ. მეცნ. დოქტორი -

გიორგი თვალთვაძე

სკოლა-კონფერენციაზე ჩატარდება დარგობრივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და ლექცია-სემინარები პრაქტიკოსი ექიმებისა და სტუდენტებისთვის.

ასევე დაგეგმილია ტრადიციული ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ფორუმების ორგანიზება მსოფლიოში ცნობილ ექსპერტთა მონაწილეობით, მათ შორის:

- 22-ე ქართულ-უკრაინული ფორუმი
- 22-ე ქართულ-სომხური ფორუმი
- მე-8 ქართულ-ბელორუსული სიმპოზიუმი
- მე-8 ქართულ-რუსული სიმპოზიუმი
- პირველი ქართულ-შვედური სიმპოზიუმი

სკოლა-კონფერენციაზე, მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია, სასურველ თემებზე, სპეციალური ცალკეული სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება. წარმოდგენილი მოხსენებები, ძირითადად, დაფუძნებული იქნება “მტკიცებითი მედიცინის” პრინციპებზე.

ყველა ოფიციალურად რეგისტრირებული მონაწილე მიიღებს სათანადო სერტიფიკატს და მას მიენიჭება შესაბამისი კრედიტ-ქულები!!!

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ: სავსებით მოსალოდნელია, რომ 2018 წლიდან, ხელისუფლება დაუბრუნდება ექიმთა კრედიტქულიან სერტიფიცირებასა და რესერტიფიცირებას. ჩვენი ასოციაცია

(საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის მედიცინის დეპარტამენტი) იმოქმედებს მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად და განახორციელებს ასოციაციის მიერ ჩატარებულ კონფერენციებში მონაწილე ექიმებისთვის ზემოთაღნიშნული სათანადო კრედიტ ქულების მინიჭებას. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ასოციაციის მიერ ჩატარებულ 42-ვე საერთაშორისო სკოლა-კონფერენციაზე და სხვა, მსგავს ღონისძიებებზე, გაცემული იყო სათანადო სერტიფიკატები.

ვინაიდან ჩვენს კონფერენციებში მონაწილეობას ღებულობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები და გამოჩენილი მეცნიერები, იმედს გამოვთვამთ, რომ მინიჭებული კრედიტ-ქულების რაოდენობა იქნება მაქსიმალური.

სკოლა-კონფერენციაში მონაწილეობენ კომპანიები, რომლებიც წარმოადგენენ ახალ სამედიცინო ტექნიკას, მედიკამენტებსა და სამედიცინო ლიტერატურას.

სკოლა-კონფერენციის სამუშაო ენებია: ქართული, ინგლისური, რუსული.

სარეგისტრაციო ფორმაში ჩაბეჭდილი მოხსენებათა სათაურები ელექტრონულ ფორმატში უნდა გამოიგზავნოს **2017 წლის 17 დეკემბრამდე**, ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: ampmpge@hotmail.com

[მოხსენებათა სარეგისტრაციო ფორმა - იხილეთ აქ!](#)

სკოლა-კონფერენციაში მონაწილეობის ყველა მსურველმა უნდა შეავსოს სარეგისტრაციო განაცხადის ფორმა, რომელიც უნდა ჩაბარდეს სამდივნოში ან გამოგზავნილ იქნას ელექტრონულ ფორმატში შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

info@mtvi.ge; info@caucasus.ge

[მონაწილეთა განაცხადის ფორმა - იხილეთ აქ!](#)

[განაცხადის ფორმა სტუდენტებისთვის - იხილეთ აქ!](#)

სკოლა-კონფერენციის სამეცნიერო-პრაქტიკული სესიები ჩატარდება ბაკურიანის სასტუმრო “**ბაკურიანი რესორტს**“-ში (ყოფილი “**პრემიერ პალასი**”) <http://www.bakurianiresorts.ge/>.

სკოლა-კონფერენციის თითოეული მონაწილისთვის, ერთი **სრული პაკეტის (9 დღე და 8 ღამე)** ღირებულება **სპეციალური ფასდაკლებით** შეადგენს:

ექიმები, მეცნიერ მუშაკები, საშუალო სამედიცინო პერსონალი და თანმხლები პირები	695 ლ.
სტუდენტები	655 ლ.
6-10 წლის ჩათვლით ბავშვები (მოქმედებს 50% ფასდაკლება)	348 ლ.

ინფორმაციისთვის: საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დაქირავებული ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულებისა და პირობების შესახებ, მიმართეთ საორგანიზაციო კომიტეტის წევრს, ბარბარე (დოდო) გორგოშიძეს, მობ.: **577 43 68 91**

ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:

„საქართველოს ბანკი“, **BAGAGE22**, სალარე ანგარიშის ნომერი: **GE26 BG00 0000 0344 3420 00**

მიმღები – რ/კ “საქართველოს პრენატალური მედიცინის და პერინატოლოგიის ასოციაცია”,

საიდენტიფიკაციო კოდი – **202215673**

მონაწილეთა საყურადღებოდ: სკოლა-კონფერენციის მონაწილეებმა და/ან თანმხლებმა პირებმა (ბავშვების ჩათვლით), **2018 წლის 18 იანვრამდე**, უნდა გადაიხადონ სასტუმროს დაჯავშნის ღირებულება - **200 ლარი** (ყოველ მონაწილეზე, თანმხლები პირების/ბავშვების ჩათვლით). ჯავშნისთვის გადახდილი თანხა ჩაითვლება სრული პაკეტის ღირებულებაში.

სკოლა-კონფერენციაში მონაწილეობის თანხა (სრული პაკეტი) და ტრანსპორტის ღირებულება (თუ საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შეთავაზებული ავტობუსით გადაწყვეტთ მგზავრობას) გადახდილი უნდა იყოს არაუგვიანეს **2018 წლის 08 თებერვლისა**.

რეგისტრაციის შემდეგ, მონაწილის მიზეზით საგზურის:

- **2018 წლის 21 იანვრამდე** გაუქმების შემთხვევაში მას სრულად დაუბრუნდება გადახდილი თანხა.
- **2018 წლის 22 იანვრიდან 31 იანვრამდე** გაუქმების შემთხვევაში მას დაუბრუნდება სრული პაკეტის ღირებულების - **695 ლარის, 90 %**.
- **2018 წლის 01-დან 05 თებერვლამდე** გაუქმების შემთხვევაში მას დაუბრუნდება სრული პაკეტის ღირებულების - **695 ლარის, 70 %**.
- **2018 წლის 06-დან 11 თებერვლამდე** გაუქმების შემთხვევაში მას დაუბრუნდება სრული პაკეტის ღირებულების - **695 ლარის, 50 %**.
- **2018 წლის 12-დან 15 თებერვლამდე** გაუქმების შემთხვევაში მას დაუბრუნდება სრული პაკეტის ღირებულების - **695 ლარის, 30 %**.
- **2018 წლის 16 თებერვლიდან** გაუქმების შემთხვევაში მას აღარ დაუბრუნდება სრული პაკეტის ღირებულება - **695 ლარი**.

დამატებითი ინფორმაციისთვის, ტელეფონით შეგიძლიათ მიმართოთ წინასწარი რეგისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელს, **მიხეილ ხოშტარას**, მობ.: **555 404 731** ან ტელ.: **299 56 65** ყოველდღე (კვირის გარდა), **15.00–23.00** სთ.

სკოლა-კონფერენციის დროს დაგეგმილია გამოფენების, შემოქმედებითი საღამოების და ყოველდღიური გასართობი ღონისძიებების მოწყობა.

სკოლა-კონფერენციასთან თანამშრომლობის მსურველი კომპანიებისა და ფირმებისთვის დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მათთვის განკუთვნილ სპეციალურ წერილში – [იხილეთ აქ!](#) სკოლა-კონფერენციისთან დაკავშირებული ყველა სიახლისა და შესაძლო ცვლილების გასაცნობად გთხოვთ, რეგულარულად ეწვიოთ ასოციაციის საიტს, დროულად დარეგისტრირდეთ და გადაიხადოთ სასტუმროს ჯავშანი.

საორგანიზაციო კომიტეტი